



# ISFED

სამართლიანი არჩევნებისა  
და დემოკრატიის საერთაშორისო  
სამომადგომეობა

## 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეოთხე შუალედური ანგარიში (20 აგვისტო - 8 სექტემბერი)

18 სექტემბერი, 2013  
თბილისი

ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ”სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას” და შესაძლოა, არ გამოხატავდეს NDI-ის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



## I. სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წინასაარჩევნო კამპანიის დაკვირვებას ყველა საარჩევნო ოლქში ახორციელებდა.

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, 2013 წლის 20 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატის მიერ 76 საჯარო შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა ზეწოლის ორი შემთხვევა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე ფოთში და ადგილობრივ თვითმმართველობაში „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ მოხელეებზე მარტვილში, ასევე პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების ერთი ფაქტი ახალციხეში.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 3 ფაქტი, კერძოდ, კანონმდებლობის დარღვევით საჯარო მოხელეების მონაწილეობა და აგიტაცია „ქართული ოცნების“ ორ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ გამართულ ერთ შეხვედრაზე.

საანგარიშო პერიოდში „სამართლიანმა არჩევნებმა“ პრემიერ მინისტრის მხრიდან მატერიალური ფასეულობის უსასყიდლოდ გადაცემის კიდევ ერთი ფაქტი დააფიქსირა, რაც პრემიერ მინისტრის ოჯახის კუთვნილი საინფორმაციო სააგენტოს „ინფო 9“-ის მენეჯმენტი კომპანიისთვის უსასყიდლოდ გადაცემაში გამოიხატა. მიგვაჩნია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მსგავსი ფაქტები გაუმართლებელია და შესაძლოა შეიცავდეს ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით შესამჩნევი იყო თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ცვლილებები. გამგებელი 10 მუნიციპალიტეტში შეიცვალა, საკრებულოს თავმჯდომარე 2 მუნიციპალიტეტში გადააყენეს, ხოლო, ერთ ქალაქში მერის ახალი მოვალეობის შემსრულებელი დაინიშნა. რამდენიმე მუნიციპალიტეტში აღნიშნული ცვლილებები დაპირისპირების ფონზე წარიმართა.

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, საანგარიშო პერიოდში ცესკომ საკონსტიტუციო ნორმების არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე უარი უთხრა 4-ს სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაზე.

ცვლილებები განხორციელდა საზოგადოებრივ მაუწყებელზე. სამეურვეო საბჭოსა და არხის მენეჯმენტს შორის დაპირისპირების შედეგად თანამდებობიდან გათავისუფლდა მაუწყებლის გენერალური დირექტორი, არხზე დაიხურა ორი პოლიტიკური თოქშოუ.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის“ (შემდგომში - უწყებათაშორისი კომისია ან კომისია) სხდომა, სადაც მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შემუშავდა. აღსანიშნავია, რომ კომისიამ „სამართლიანი არჩევნების“ რეკომენდაციების ნაწილი გაითვალისწინა, თუმცა, მთელ რიგ რეკომენდაციებზე რეაგირება არ მოუხდენია.

## II. ძირითადი დასკვნები

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა **ზეწოლის** შემთხვევები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და თვითმმართველობის მოხელეებზე:
  - i. ფოთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორთან საუბრისას განაცხადეს, რომ ისინი ყოველგვარი განმარტების გარეშე პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს და პოლიტიკური ხასიათის შეკითხვები დაუსვეს <sup>1</sup>;
  - ii. როგორც თვითმმართველობის მოხელეებმა მარტვილში „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორს აცნობეს, ფინანსური პოლიცია სისტემატურად იბარებს დაკითხვაზე საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლებს. საკრებულოს თავმჯდომარის, მოადგილის და სხვა მოხელეთა განცხადებით, დაკითხვისას ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებსა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებს <sup>2</sup>.
- ასევე, ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით სიტყვიერ და **ფიზიკურ შეურაცხყოფას** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორზე ახალციხეში <sup>3</sup>.
- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ადმინისტრაციული **რესურსის გამოყენების 3 ფაქტი** <sup>4</sup>:
  - i. საპრეზიდენტო კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრებს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანში გამგეობის თანამშრომლები სამუშაო საათებში ესწრებოდნენ;
  - ii. გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრებს კასპში საჯარო სკოლების პედაგოგები ესწრებოდნენ, რომელთა მობილიზება და შეხვედრის ადგილზე გადაყვანა ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების მიერ იყო უზრუნველყოფილი. „სამართლიანი არჩევნები“ უარყოფითად აფასებს სოფლის რწმუნებულებთან მიერ სკოლის პედაგოგების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას;
  - iii. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს ასევე ადგილი ჰქონდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

<sup>1</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის IV თავში

<sup>2</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის IV თავში

<sup>3</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის IV თავში

<sup>4</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის V თავში

საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე რუსთავეში, სადაც მის მხარდასაჭერად ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები სამუშაო საათებში იმყოფებოდნენ.

- წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, კვლავაც დაფიქსირდა პრემიერ მინისტრის მიერ მატერიალური ფასეულობის უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტი. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ პრემიერის მიერ საინფორმაციო სააგენტო ინფო 9-ის მენეჯმენტი კომპანიისთვის უსასყიდლოდ გადაცემა ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს შეიცავს.<sup>5</sup>
- საანგარიშო პერიოდში პრობლემატური იყო საკადრო ცვლილებები ადგილობრივ თვითმმართველობებში, რაც დაპირისპირებებისა და დაძაბულობის ფონზე წარიმართა. გამგებელი 10 მუნიციპალიტეტში შეიცვალა, მათ შორის პირადი განცხადების საფუძველზე გადადგა 7 გამგებელი, 1 დაკავებულ იქნა, 2 საკრებულომ გადააყენა. 2 მუნიციპალიტეტში გადააყენეს საკრებულოს თავმჯდომარე, ერთ ქალაქში შეიცვალა მერი.<sup>6</sup>
- დადებითად ვაფასებთ იმ ფაქტს, რომ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ“ გამოცემულ რეკომენდაციებში გაითვალისწინა „სამართლიანი არჩევნების“ რიგი რეკომენდაციები და მოუწოდა ხელისუფლების ორგანოებს ნათლად განემარტათ საჯარო მოსამსახურეებისთვის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულობასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ასევე, ადგილობრივ ორგანოებს თავი შეეკავებინათ ადგილობრივ მედია საშუალებებთან არსებული ხელშეკრულებების მოშლისაგან. თუმცა, უწყებათაშორის კომისიას რეაგირება არ მოუხდენა „სამართლიანი არჩევნების“ მესამე შუალედურ ანგარიშში მითითებულ რეკომენდაციებზე.<sup>7</sup>
- განსაკუთრებით პრობლემურია ცესკოს უარი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაზე. საანგარიშო პერიოდში ცესკომ რეგისტრაციაზე უარი უთხრა 4-ს სალომე ზურაბიშვილს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ცესკოს მიერ კონსტიტუციის ნორმების არასწორ ინტერპრეტაციას ეფუძნება.<sup>8</sup>

<sup>5</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის VI თავში

<sup>6</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის VII თავში

<sup>7</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის X თავში

<sup>8</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის VIII თავში

- საანგარიშო პერიოდში, ასევე, მნიშვნელოვანი იყო მედია გარემოსთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის გათავისუფლება და არხზე პოლიტიკური თოქშოუების დახურვა.<sup>9</sup> გიორგი ბარათაშვილი, ისევე, როგორც დახურული თოქშოუების წამყვანები აღნიშნული გადაწყვეტილებების პოლიტიკურ მოტივაციებზე საუბრობენ. „სამართლიანი არჩევნები“ საგანგაშოდ მიიჩნევს საზოგადოებრივ არხზე პოლიტიკური ზეწოლის მცდელობებს.

---

<sup>9</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის IX თავში

### III. რეკომენდაციები

**საჯარო მოხელეებს** - თავი შეიკავონ სამუშაო საათებში აგიტაციაში მონაწილეობისგან;

**თანამდებობის პირებს** - არ დაუშვან სახელმწიფო უწყებებში მომუშავე პირთა იძულება მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში;

**პრემიერ მინისტრს** - წინასაარჩევნო პერიოდში თავი შეიკავოს ისეთი სახის ქმედებებისგან, რომლებიც შესაძლებელია ამომრჩევლის მოსყიდვად იქნეს აღქმული;

**პოლიტიკურ პარტიებს** - უზრუნველყონ შიდაპარტიული დისციპლინის დაცვა თავიანთი აქტივისტების მიერ და მოახდინონ მკაცრი რეაგირება პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორებისა და კამპანიისთვის ხელის შეშლის ფაქტებზე;

**უწყებათაშორის კომისიას** - თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები და მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები;

**ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს** - თავი შეიკავონ წინასაარჩევნო პერიოდში ხელმძღვანელი პირების გადაყენებისგან, რათა პოლიტიკური ზეწოლის გზით არ მოხდეს საარჩევნო პროცესებზე ზემოქმედება;

**სამართალდამცავ ორგანოებს** - გარდა განსაკუთრებული აუცილებლობისა, საარჩევნო პერიოდში თავი შეიკავონ პოლიტიკური პარტიების აქტივისტებისა და წევრების დაკითხვებისა და დაკავებისგან, რათა ეს არ იქნეს აღქმული, როგორც პოლიტიკური ოპონენტების დაშინების და არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა;

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურს** - თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს წინასაარჩევნო პერიოდში აღმოჩენილი დარღვევები და მოახდინოს მათზე შესაბამისი რეაგირება;

**საზოგადოებრივ მაუწყებლის ხელმძღვანელობასა და სამეურვეო საბჭოს** - გათავისუფლდნენ ყოველგვარი პოლიტიკური გავლენისაგან და იმოქმედონ მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე უზრუნველყონ ეთერში პოლიტიკური პლურალიზმი და პროცესების ობიექტური გაშუქება.

#### IV. ძალადობა-ზეწოლის შემთხვევები

##### 4.1. ძალადობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე ახალციხეში

3 აგვისტოს, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ ახალციხის კოორდინატორზე - ირინე გელაშვილზე, რომელიც სოფელ საყუნეთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის - დავით ბაქრაძის სასარგებლოდ ხელმოწერებს აგროვებდა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა განხორციელდა ადგილობრივი მოსახლის - ბესო ქუჭიანის მხრიდან. ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში ირინე გელაშვილსა და მის მეზობელს, რომელიც ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია, სახლის მინები ჩამსხვრეული დახვდათ.

##### 4.2. ზეწოლა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე ფოთში

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, პოლიტიკური პარტიის წევრებზე ადგილის აქვს ზეწოლას პროკურატურის მხრიდან. 2013 წლის 28 აგვისტოს მალთაყვის №5 უბნის კოორდინატორი - ნუგზარ გოგუა, №7 უბნის კოორდინატორი - გრიგოლ ღვანია და №34 უბნის კოორდინატორი - ლუიზა ჯოლოხავა პროკურატურაში, მოწმის სახით, დაკითხვაზე დაიბარეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ვახტანგ დარსმელიძის განცხადებით, პარტიის წევრებისთვის არ განუმარტავთ დაკითხვაზე დაბარების მიზეზი. „სამართლიან არჩევნებთან“ საუბრისას კოორდინატორები აცხადებენ, რომ მათ ძირითადად პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვები. კონკრეტულად, პროკურატურა დაინტერესდა კოორდინატორთა რაოდენობით, მათი ანაზღაურებითა და მუშაობის სპეციფიკით. აღნიშნულ ფაქტებს პარტიის წევრები ფსიქოლოგიურ ზეწოლად აფასებენ.

„სამართლიანი არჩევნები“ შეახსენებს პროკურატურის ორგანოებს უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებს, რომლებიც სწორედ აღნიშნული სახის ფაქტებზე რეაგირების მიზნით შემუშავდა და რომელთა თანახმადაც სასურველია კენჭისყრის დღემდე თავი შეიკავონ საგამომოებო მოქმედებების ფარგლებში განსახორციელებელი დაკითხვებისაგან.

##### 4.3. ზეწოლა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებზე მარტვილში

2012 წლის 6 დეკემბრის შემდეგ ფინანსური პოლიცია მარტვილის გამგეობისა და საკრებულოს ფინანსურ დოკუმენტაციას სწავლობს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გახშირდა გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლების დაკითხვაზე დაბარების შემთხვევები.



„სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორი ესაუბრა მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარეს - ზაალ გოროზიას, რომლის განცხადებითაც თვითმმართველობაში თანამშრომლების მიმართ ზეწოლა ხორციელდება საფინანსო პოლიციის მხრიდან და ხდება გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლების ხშირი დაბარება დაკითხვაზე. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბორის მიქავამ „სამართლიანი არჩევნებს“ განუცხადა, რომ 2 აგვისტოს, საკრებულოს წევრებთან და აპარატის თანამშრომლებთან ერთად დაიბარეს ზუგდიდის ფინანსური პოლიციის განყოფილებაში და მოსთხოვეს **გამგებლის გადაყენების საკითხის დასმა.**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის - ლევან თოფურიას განცხადებით, ის 32-ჯერ იყო დაბარებული ფინანსურ პოლიციაში, აქედან 4-ჯერ დაიკითხა მოწმის სახით, სხვა შემთხვევაში კი მას სთხოვდნენ ამა თუ იმ დოკუმენტაციის მიტანას. 23 აგვისტოს დაკითხვაზე დაიბარეს არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - ბონდო გოროზია. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორთან საუბრისას ბონდო გოროზიამ განაცხადა, რომ დაკითხვისას გამომძიებლებმა მას გამგებლის **ცვლილების აუცილებლობაზე მიანიშნეს.**

გამგებლის მოადგილის - ზვიად ბურჭულაიას თქმით, მასზე პირდაპირი ზეწოლა არ განხორციელებულა, თუმცა მისივე განცხადებით, დაკითხვისას ადგილი ჰქონდა პროცედურულ დარღვევებს. გამომძიებლებმა დაკითხვის ოქმში მისი მონათხრობისგან განსხვავებული ინფორმაცია ჩაწერეს.

5 სექტემბერს კი ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბორის მიქავა დააკავეს. გამომძიებთა ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე.

მარტვილის მინუციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებზე განცხადება ასევე გააკეთა „ნაციონალურმა მოძრაობამ“.<sup>10</sup>

## V. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

### 5.1. გიორგი მარგველაშვილის კამპანია გორში

2013 წლის 14 აგვისტოს კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა, გიორგი მარგველაშვილმა ამომრჩეველთან შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტში გამართა.<sup>11</sup>

<sup>10</sup> იხ. განცხადება შემდეგ ბმულზე: [http://unm.ge/index.php?m=6&news\\_id=128](http://unm.ge/index.php?m=6&news_id=128)

<sup>11</sup> იხ. გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრების ამსახველი მასალა გორის რაიონში: <http://news.ge/ge/news/story/61618-giorgi-margvelashvilma-tsinasaarchevno-shekhvedrebi-goris-raionshi-gamarta>

„ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრას სოფ. ვარიანში, სამუშაო საათების განმავლობაში, გამგეობის თანამშრომლები - ბუნებრივი და აგრარული რესურსების სამმართველოს უფროსი, გიორგი ხიდაშელი და ვარიანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, ვახტანგ ბერკაცაშვილი ესწრებოდნენ. <sup>12</sup>

## 5.2. გიორგი მარგველაშვილის კამპანია კასპში

2013 წლის 7 სექტემბერს კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის ამომრჩეველთან შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტში გაიმართა. საინფორმაციო სააგენტო „შიდა ქართლის“ მიერ გავრცელებული ფოტო და ვიდეო მასალებიდან ირკვევა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრას საჯარო სკოლის პედაგოგები და ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები ესწრებოდნენ. საჯარო სკოლებიდან პედაგოგების ტრანსპორტირებას ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები უზრუნველყოფდნენ.<sup>13</sup> ამ პროცესში, ასევე, ჩართულები იყვნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფი, რომელიც კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობის შეკრებაში ეხმარებოდა.

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილეობა საჯარო სკოლის პედაგოგებს არ ეკრძალებათ. მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო სკოლას აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი,<sup>14</sup> სკოლის პედაგოგები კი წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებს და მათზე საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება.“<sup>15</sup>

მიუხედავად ამისა, უარყოფითად უნდა შეფასდეს სოფლის რწმუნებულთა მიერ სკოლის პედაგოგების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის საკითხი. მსგავსი ფაქტები იმ სამწუხარო პრაქტიკის გამეორებაა, რასაც წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა საქართველოში, როცა ხდებოდა მმართველი ძალების მიერ სკოლის პედაგოგების აქტიური ჩართვა წინასაარჩევნო პროცესებში. ვფიქრობთ, რომ ამგვარი პრაქტიკა უარყოფითად მოქმედებს წინასაარჩევნო გარემოზე.

<sup>12</sup> იხ. საჯარო მოხელეები საპრეზიდენტო კამპანიაში: <http://qartli.ge/web/13976>

<sup>13</sup> იხ. გიორგი მარგველაშვილის შეხვედრის ამსახველი ვიდეო მასალა: <http://qartli.ge/web/14519>;

<sup>14</sup> საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 31: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

<sup>15</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილი დეტალურად ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებსაც წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლები ამ ჩამონათვალში არ არიან;

### 5.3. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანია რუსთავში

2013 წლის 29 აგვისტოს რუსთავის მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა - დავით ბაქრაძემ. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორის ინფორმაციით, შეხვედრაზე პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან ერთად იმყოფებოდნენ ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე - მამუკა ჩიქოვანი და საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი - მაია დოლიძე.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს აგიტაციაში მონაწილეობა ეკრძალებათ სამუშაო საათებში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურეობრივ ფუნქციებს. ასევე, მათ ეკრძალებათ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის სასარგებლო წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა.

### VI. ამომრჩევლის მოსყიდვა

2013 წლის 31 აგვისტოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ის მენეჯმენტს არამატერიალური ქონება - ბრენდი, სახელი - „ინფო-9“, ვებ-მისამართი და არქივით სარგებლობის უფლება, ასევე, მატერიალური ქონება გადასცა.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში მატერიალური ღირებულების ფასეულობების უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევები გაუმართლებელია და ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს შეიცავს.

საქართველოს კანონმდებლობით, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ამომრჩეველთა მოსყიდვისთვის ხდება იმ შემთხვევაში, თუ გადაცემული საჩუქარი აღემატება 100 ლარს. 100 ლარზე ნაკლები ღირებულების საჩუქრის გადაცემის შემთხვევაში, სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონის 25<sup>2</sup> მუხლის თანახმად, „პარტიას ეკრძალება კანდიდატის წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა“. ხოლო, ამავე კანონის 34<sup>2</sup> მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საარჩევნო მიზნით, ფიზიკური პირის მიერ უკანონო საჩუქრის გადაცემა, თუ საჩუქრის ღირებულება არ აღემატება 100 ლარს გამოიწვევს პარტიის, პარტიის წარმომადგენლის ან იურიდიული პირის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.<sup>16</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup> მუხლის თანახმად, „საარჩევნო

<sup>16</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. სამართლიანი არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მესამე ანგარიშში: <http://www.isfed.ge/main/437/geo/>

*მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის გადაცემა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით“.*

პრემიერის მხრიდან მსგავსი სახის ქმედებას ადგილი ჰქონდა 2013 წლის 11 აგვისტოსაც, როცა მან „შუამთობა-2013“ დღესასწაულის აღნიშვნის დროს ახალდაქორწინებულ გუნდელაძეების ოჯახს საჩუქრად ბრილიანტის ბეჭედი გადასცა. „სამართლიანი არჩევნები“ წინასაარჩევნო პერიოდის მესამე შუალედურ ანგარიშში<sup>17</sup> გამოეხმარა აღნიშნულ ფაქტს.

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ქმედებამ, რომელიც ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს, შესაძლებელია არასწორი პრაქტიკის დამკვიდრებას შეუწყოს ხელი. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ტენდენცია წინასაარჩევნო გარემოზე უარყოფითად აისახება.

## **VII. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული საკადრო ცვლილებები**

საანგარიშო პერიოდში გამგებელი 10 მუნიციპალიტეტში შეიცვალა, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარე ორ მუნიციპალიტეტში გადააყენეს. მერის ახალი მოვალეობის შემსრულებელი დაინიშნა რუსთავში. აღსანიშნავია ის, რომ აჭარის რეგიონში ერთსადაიმაცე დღეს 4 გამგებლის ცვლილება მოხდა. ისინი, პირადი განცხადების საფუძველზე, საკრებულოს გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ უწყებათაშორისმა კომისიამ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს რეკომენდაციით მიმართა თავი შეეკავებინათ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებისგან წინასაარჩევნო პერიოდში, თვითმმართველობებში ცვლილებები ინტენსიურად მიმდინარეობს, მათ შორის ხდება გამგებლებისა და საკრებულოს თავმჯდომარეების გადაყენება თანამდებობიდან.

გამგებლები პირადი განცხადების საფუძველზე შეიცვალა **ხობში, ხულოში, ხელვაჩაურში, შუახევში, კასპში, ზესტაფონსა და მარნეულში**. ადიგენის გამგებელი კი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა დააკავა, რის გამოც სასამართლომ მას დროებით უფლებამოსილება შეუწყვიტა. **ქარელში** გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დაინიშნა. რამდენიმე მუნიციპალიტეტში - **ლენტეხში, ბოლნისსა და ქედაში** ცვლილებები მოსახლეობის პროტესტის ფონზე წარიმართა. რიგ მუნიციპალიტეტში კი კანონდარღვევის ფაქტები დაფიქსირდა.

<sup>17</sup> იხ. „სამართლიანი არჩევნების“ მესამე შუალედური ანგარიში შემდეგ ბმულზე: <http://www.isfed.ge/main/437/geo/>

„სამართლიანი არჩევნები“ ასეთი ხასიათის ცვლილებებს პოლიტიკური ზეწოლის მცდელობად აფასებს და მიიჩნევს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა წინასაარჩევნო პერიოდში თავი უნდა შეიკავონ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებების განხორციელებისაგან, რათა ეს არ იქნეს აღქმული საჯარო მოსამსახურეთა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის მცდელობად.

თვითმმართველობებში განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებით მწვავედ კასპის, ლენტეხის, ქედასა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში წარიმართა.

**კასპი** - „სამართლიანმა არჩევნების“ წინა ანგარიშში საუბარი იყო კასპის საკრებულოს წევრებზე განხორციელებულ ზეწოლაზე.<sup>18</sup> მომდევნო დღეებში განვითარებული მოვლენებით აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ დადასტურდა.

23 აგვისტოს საკრებულოს წარედგინა თავმჯდომარის მხოლოდ ერთი - ავთანდილ გოგიაშვილის კანდიდატურა, რომელმაც სხდომაზე კოლეგებისგან სრული მხარდაჭერა მიიღო. (ავთანდილ გოგიაშვილი საკრებულოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი იყო სოფელ სამთავისიდან, ერთი კვირით ადრე კი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანდა).

30 აგვისტოს ომარ (ოლეგ) იაძემ საკრებულოს გადადგომის თაობაზე პირადი განცხადებით მიმართა. კენჭისყრაში მხოლოდ ერთი, ომარ იაძის წარდგენილი კანდიდატი - გოჩა გოჩიტაშვილი მონაწილეობდა, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული.

3 სექტემბერს, როდესაც გამგეობის თანამშრომლებს კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა - დავით ონოფრიშვილმა ახალი გამგებელი წარუდგინა, შეხვედრას „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი რამაზ ბერიანიძეც დაესწრო. Qartli.Ge -ზე გავრცელებულ ვიდეომასალიდან ჩანს, რომ რამაზ ბენიაძე გამგეობის თანამშრომლებს დირექტივებს აძლევს და შეურაცხყოფილი სიტყვებით მიმართავს. თანამშრომლებს დირექტივები მისცა დავით ონოფრიშვილმაც.<sup>19</sup> მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა აღნიშნული ფაქტით უკმაყოფილება ღიად დააფიქსირეს.

„სამართლიანი არჩევნები“ დაუშვებლად მიიჩნევს პოლიტიკური პარტიის წევრებისა თუ დეპუტატების მხრიდან ზეგავლენის მოხდენის მცდელობებს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობაზე და მოუწოდებს პარტიებს მკაცრი რეაგირება მოახდინონ აღნიშნულთან დაკავშირებით.

**ლენტეხი** - 23 აგვისტოს გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, სადაც გადააყენეს გამგებელი - ზაზა ლიპარტელიანი. გამგებლის გადაყენების მიზეზად მისი არაკომპეტენტურობა დასახელდა. საკრებულოს გადაწყვეტილება გააპროტესტეს გამგებლის მხარდამჭერებმა. მათ მთელი კვირის განმავლობაში საკრებულოს შენობა პიკეტირებული

<sup>18</sup> „სამართლიანი არჩევნების“ მესამე ანგარიში იხ. შემდეგ ბმულზე: <http://www.isfed.ge/main/437/geo/>

<sup>19</sup> ინფორმაცია და ვიდეომასალა იხ. შემდეგ ბმულზე: <http://qartli.ge/web/14449>

ჰქონდათ. ზაზა ლიპარტელიანმა კი რაიონულ სასამართლოში შეიტანა საჩივარი საკრებულოს წინააღმდეგ.

მოგვიანებით საკრებულო ფარულად შეიკრიბა და გამგებლის მოვალეობის შემსრულებლედ გურგენ ფურლიანი (კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისის ყოფილი ხელმძღვანელი) დანიშნა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას ძველი გამგებლის მხარდამჭერთა მხრიდან პროტესტი და შენობის დაკავება მოჰყვა, სიტუაციის განსამუხტავად აუცილებელი გახდა პოლიციის ჩარევა. გავრცელებული ინფორმაციით, გამგებლის გადაყენებისა და მისი შემცვლელის დანიშვნის შესახებ დოკუმენტაცია საკრებულოში რეგისტრირებული არ არის.

**ბოლნისი** - მთელი კვირის განმავლობაში დაძაბული ვითარება იყო ბოლნისის მუნიციპალიტეტში. თანამდებობიდან გაათავისუფლეს გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი დ. ჩართოლანი. ამ უკანასკნელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, რადგან მიიჩნევს, რომ იგი კანონდარღვევით, საკრებულოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით გაათავისუფლდა.

26 აგვისტოს საკრებულოში ორი პარალელური სხდომა გაიმართა. ერთ-ერთ სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარე გადააყენეს, ხოლო, მეორე სხდომაზე, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე - მალხაზ ერადე ესწრებოდა, პირველი სხდომა ჩაშლილად გამოცხადდა. აღნიშნული ოქმი არის საკრებულოს ბეჭდით დამოწმებული, მეორე კი ბეჭდის გარეშეა.

სხდომის მიმდინარეობისას ერადის მხარდამჭერების მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სამართალდარღვევას, რის გამოც ორი მათგანი პოლიციამ დააკავა და სასამართლომ 100 ლარიანი ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდა.

**ქედა** - 21 აგვისტოს კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების მიერ დაანონსებული აქცია გამგებლის გადადგომის მოთხოვნით აღარ შედგა, ვინაიდან 22 აგვისტოს გამგებელი - ვაჟა ბოლქვაძე შვებულებაში გავიდა. შვებულებაში, ასევე, გავიდა საკრებულოს თავმჯდომარე ბადრი დიასამიძე.

26 აგვისტოს შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ გამგებელმა გადადგომის თაობაზე საკრებულოს განცხადებით მიმართა. 29 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე საკრებულოში 24 სხდომა გაიმართა და ყველა მათგანი ქვორუმის არარსებობის გამო გადაიდო. 12-მა დეპუტატმა ბოიკოტი გამოუცხადა სხდომებს საკრებულოს თავმჯდომარის შვებულებიდან დაბრუნებამდე.

## VIII. ცესკოს საქმიანობა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) 2013 წლის 3 სექტემბრის № 64/2013 განკარგულებით უარი უთხრა ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში

კანდიდატად რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამავდროულად საფრანგეთის მოქალაქეა, კონსტიტუციის 29-ე 1<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე, ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ არაერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულება ქ-ნი სალომე ზურაბიშვილისთვის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ნორმებს.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე 1<sup>1</sup> მუხლი, რომელიც აღნიშნული განკარგულების იურიდიული საფუძველია, აცხადებს, რომ „საქართველოს პრეზიდენტის ... თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა“. „სამართლიან არჩევნებს“ მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილე პირზე. კონსტიტუცია განასხვავებს პრეზიდენტის არჩევას და პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებას, ხოლო კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა მხოლოდ თანამდებობის დაკავებას ეხება. ამრიგად, დღევანდელი კანონმდებლობით, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი ფიცის დადებაამდე უნდა განაცხადოს.

ქ-ნ სალომე ზურაბიშვილმა ცესკოს გადაწყვეტილება თავდაპირველად ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა არც ერთმა ინსტანციამ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ ცესკოსა და სასამართლოს გადაწყვეტილებები ქ-ნი სალომე ზურაბიშვილის კანდიდატად რეგისტრაციასთან დაკავშირებით ეფუძნება კონსტიტუციის არასწორ ინტერპრეტაციას.

## IX. მედია გარემო

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი მოვლენების ეპიცენტრში მოექცა. სამეურვეო საბჭოსა და არხის მენეჯმენტს შორის დაპირისპირება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა, ხოლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის საავტორო გადაცემების შესაძლო დახურვის შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ 2013 წლის 6 სექტემბერს მაუწყებლის გენერალური დირექტორის მიმართ უნდობლობის საკითხი წამოიწყო. სამეურვეო საბჭოს თავჯდომარის, ემზარ გოგუაძის განმარტებით, ამის მიზეზი არხზე დაგროვილი პრობლემები გახდა, რომლებსაც შესაძლებელია რთულ შედეგებამდე მიეყვანა საზოგადოებრივი მაუწყებელი, ასევე, ფინანსური პრობლემები, რაზეც გენერალურმა დირექტორმა შესაბამისი არგუმენტაციის წარმოდგენა სამეურვეო საბჭოსთან ვერ მოახერხა.

გიორგი ბარათაშვილი სამეურვეო საბჭოს 6 სექტემბრის გადაწყვეტილებას პოლიტიკურს უწოდებს და აცხადებს, რომ მსგავსი ხასიათის გადაწყვეტილებების უკან „ნაციონალური მოძრაობა“ დგას, რომლის მიერაც სამეურვეო საბჭოა დაკომპლექტებული. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებელი დატოვებს არხის თანამშრომელთა ნაწილმაც, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ უნდობლობის საკითხის განხილვას და სამეურვეო საბჭოს განხილვის გადავადებას სთხოვდნენ.<sup>20</sup>

2013 წლის 3 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმძღვანელებმა მედიას ახალ საეთერო სეზონთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდეს. როგორც არხზე გასული სიუჟეტიდან ჩანს საზოგადოებრივ მაუწყებელზე ცვლილებები იგეგმება. სიუჟეტიდან ირკვევა, რომ ახალ ბადეში ეკა კვესიტაძის საავტორო გადაცემა „აქცენტები“ და დავით პაიჭაძის გადაცემა „დიალოგი“ აღარ ფიგურირებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის იმჟამინდელი გენერალური დირექტორის განცხადებით, ჟურნალისტებისთვის კონტრაქტი არ შეუწყვეტიათ, ხოლო პოლიტიკური თოქშოუები ახალ ფორმატში საზოგადოებრივ მაუწყებელზე 1 ოქტომბრიდან ჩაეშვება, თუმცა წამყვანების ვინაობა ამ დროისათვის უცნობია.<sup>21</sup>

გადაცემა „აქცენტების“ წამყვანი, ეკა კვესიტაძე, „სამართლიან არჩევნებთან“ საუბარში აცხადებს, რომ არჩევნებამდე ორი თვით ადრე საზოგადოებრივ მაუწყებელზე პოლიტიკური დებატების შეწყვეტა პოლიტიკურ გადაწყვეტილებაა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლობა არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე, საჯარო დაფინანსებაზე მყოფი ტელერადიომაუწყებლობისთვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია **პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის.**

საზოგადოებრივ მაუწყებელს, როგორც სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას, წინასაარჩევნო პერიოდში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად ეკისრება ვალდებულება, საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას - წინასაარჩევნო დებატები.

<sup>20</sup> იხ. ინფორმაცია შემდეგ ბმულზე: <http://www.radiotavisupleba.ge/content/sazogadoebrivi-mauwyebeli/25097614.html>

<sup>21</sup> იხ. პრესკონფერენციის ვიდეო მასალა შემდეგ ბმულზე: <http://www.gpb.ge/NewsView.aspx?Location=306&LangID=1>



როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში აღინიშნა <sup>22</sup>, „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ შექმნილმა გარემოებებმა შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს საარჩევნო პროცესებზე.

## X. უწყებათაშორისი კომისია

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ უწყებათაშორისი კომისიის სხდომა. კომისიამ 2013 წლის 31 აგვისტოს გამართულ სხდომაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეიმუშავა. აღნიშნული რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეფუძნება „სამართლიანი არჩევნების“ მიერ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ანგარიშებში აღწერილ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს.<sup>23</sup>

კომისიამ მოუწოდა:

**ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს** - თავი შეიკავონ წინასაარჩევნო პერიოდში სხვადასხვა სახის მედია საშუალებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოშლისაგან, მათ შორის, ლეგიტიმური საფუძვლით, რათა ეს არ იქნეს აღქმული წინასაარჩევნოდ მედიის შეზღუდვის მცდელობად.<sup>24</sup>

**ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს** - საჯარო მოსამსახურეებისთვის გასცენ დეტალური და მკაფიო განმარტებები თუ რა უფლებები და

<sup>22</sup> იხ. განცხადება შემდეგ ბმულზე: <http://www.isfed.ge/main/446/geo/>

<sup>23</sup> ინფორმაცია „სამართლიანი არჩევნების“ მიერ უწყებათაშორისი კომისიის პირველ სხდომაზე დასმულ საკითხებთან დაკავშირებით იხ. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე შუალედურ ანგარიშში: <http://www.isfed.ge/main/437/geo/>

<sup>24</sup> „სამართლიანი არჩევნების“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გაზეთ „გურიის მოამბეს“ გაუგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც მედია საშუალება გაფრთხილებულ იქნა მუნიციპალიტეტსა და „გურიის მოამბეს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ საკითხი წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან კრიტიკულად განწყობილი მედია საშუალების საქმიანობის შეზღუდვას ეხებოდა „სამართლიანმა არჩევნებმა“ მოუწოდა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება „გურიის მოამბესთან“ დაკავშირებით და მაქსიმალურად ხელი შეეწყო წინასაარჩევნო პერიოდში მედია საშუალებების დაუბრკოლებელი საქმიანობისთვის.

მოვალეობები აკისრიათ წინასაარჩევნო პერიოდში და რა სანქციები იქნება გამოყენებული მათ მიერ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.<sup>25</sup>

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უწყებათაშორის კომისიას ამ დროისთვის „სამართლიანი არჩევნების“ მიერ მიწოდებულ ყველა ფაქტსა და რეკომენდაციაზე სათანადო რეაგირება არ მოუხდენია, კერძოდ არ შეუსწავლია პირველ სხდომაზე დაყენებული შემდეგი პრობლემური საკითხები, მათ შორის:

- პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიერ „შუამთობის“ დღესასწაულზე ამომრჩევლისთვის საჩუქრის გადაცემის ფაქტი;
- ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული ფონდი „ქართუს“ მიერ ა (ა) იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერის და ამ ქმედებაში ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნების არსებობის საკითხი.<sup>26</sup>

აღსანიშნავია, რომ „სამართლიანმა არჩევნებმა“ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად (GYLA, TI) უწყებათაშორის კომისიას წარუდგინა რეკომენდაციები აგიტაციაში საჯარო მოხელეების მონაწილეობის წესების გამკაცრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაციები გულისხმობდა:

- აგიტაციაში შეუზღუდავი მონაწილეობის უფლების მქონე პოლიტიკური თანამდებობის პირთა წრის დავიწროებას - მინისტრის მოადგილეების, გამგებლების და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ამოღებას საარჩევნო კოდექსის მიზნებისთვის პოლიტიკური თანამდებობის პირთა ჩამონათვალიდან;
- აგიტაციის დეფინიციის დაკონკრეტებას იმგვარად, რომ აგიტაციის ცნება, ასევე, მოიცავდეს, პასიურ აგიტაციას, კერძოდ, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე დასწრებას;
- იმ პირთა წრის გაზრდას, ვისაც ეკრძალება აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათების ან სამსახურეობრივი ფუნქციის შესრულებისას.

„სამართლიანი არჩევნები“ იმედს გამოთქვამს, რომ უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობა უფრო ეფექტური იქნება, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და პოლიტიკური პარტიები გაითვალისწინებენ კომისიის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და არსებულ დარღვევებზე სათანადო რეაგირებას მოახდენენ.

<sup>25</sup> „სამართლიანი არჩევნების“ მიერ მსგავსი ხასიათის რეკომენდაცია გაცემულია წინასაარჩევნო მონიტორინგის მესამე ანგარიშში საჯარო მოხელეთა მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე დაყრდნობით.

<sup>26</sup> იხ. „სამართლიანი არჩევნების“ მესამე შუალედური ანგარიში შემდეგ ბმულზე: <http://www.isfed.ge/main/437/geo/>

## **XI. საჯარო შეხვედრები**

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, 2013 წლის 20 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში პოლიტიკური პარტიებისა და მათი საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ 76 საჯარო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრების ძირითად მიზანს კვლავაც ადგილობრივი ოფისების დაარსება, საუბნო კომისიის წევრების შერჩევის პროცესი, ადგილობრივი აქტივისტების მობილიზება, ამომრჩევლისათვის საკუთარი საარჩევნო პროგრამის გაცნობა წარმოადგენდა.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 37 საჯარო შეხვედრა გამართა. შეხვედრებს სხვადასხვა ოლქში კოალიციაში შემავალი პარტიები ახორციელებდნენ. პარტიების შეხვედრის მთავარ მიზანს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კანდიდატების შერჩევა და ადგილობრივი ორგანიზაციების დაკომპლექტება წარმოადგენდა. ამ მიზნით შეხვედრები გაიმართა გორში, სამტრედიისში, ყვარელში, დმანისში, თეთრიწყაროში, ამბროლაურში და ხარაგაულში.

„დემოკრატიულმა მოძრაობამ - ნინო ბურჯანაძემ“ 16 საჯარო შეხვედრა გამართა გურჯაანში, თელავში, ბოლნისში, თიანეთში, ყაზბეგში და ქუთაისში.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 11 საჯარო შეხვედრა გამართა. პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე ამრჩევლებს რუსთავში, გურჯაანში, მარნეულში, ყვარელში და საგარეჯოში შეხვდა.

„ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ 7 საჯარო შეხვედრა ფოთში, ბათუმში, თელავში და გორში გამართა.

„ლეიბორისტულმა პარტიამ“ 5 საჯარო შეხვედრა გამართა ლანჩხუთში, გორში, ქედასა და ხელვაჩაურში.

## XII. მისიის შესახებ

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრაცია გაიარა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი ორგანიზაციამ 2013 წლის 1 ივლისს დაიწყო. „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვებას საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში 73 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს, რომლებმაც სათანადო მომზადება და ტრენინგი მონიტორინგის დაწყებამდე გაიარეს. გრძელვადიანი დამკვირვებლები თავიანთი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით<sup>27</sup>, რაც პირველ რიგში პროცესის სრულყოფილად, ობიექტურად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად დაკვირვებას გულისხმობს. ორგანიზაცია აკვირდება ყველა იმ პროცესს, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს საარჩევნო გარემოზე, მათ შორის, დაკვირვება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი, რაც ძირითადად გულისხმობს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესსა და საქმიანობაზე დაკვირვებას;
- პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების მიერ გამართული საჯარო შეხვედრებისა და სხვა პოლიტიკური საქმიანობის დაკვირვება, აგრეთვე მათ მიერ ამომრჩევლისათვის მიცემული დაპირებების მონიტორინგი;
- ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტების გამოვლენა და შესწავლა;
- პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა/მუქარის, პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

---

<sup>27</sup> „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვების პროცესში ხელმძღვანელობს საერთაშორისო დეკლარაციით „არაპარტიული საარჩევნო დაკვირვებისა და სამოქალაქო მონიტორინგის გლობალური პრინციპების შესახებ“, დეკლარაცია იხილეთ შემდეგ ბმელზე: <http://www.gndem.org/declaration-of-global-principles>; ხოლო შეფასებების დროს ეყრდნობა და იზიარებს ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის პრინციპებსა და სულისკვეთებას